

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 11

სისხლის სამართლის პროცესი

1. სასამართლოს მიერ წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამოძიებო ოქმის გამოკვლევა
2. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში
3. შებრუნება საუარესოდ
4. განაჩენთა შეჯამება
5. განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ
6. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი
7. საპროცესო შეთანხმება
8. სააპელაციო გასაჩივრების ვადა

1. სასამართლოს მიერ წერილობითი მტკიცებულებებისა და საგამომიებო ოქმის გამოკვლევა

განჩინება

#107-აპ-09

23 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ დამზადება და შენახვა, ასევე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 17 ივლისს გ. ბ-მა გადაწყვიტა პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ დაემზადებინა ნარკოტიკული საშუალება „ეფედრონი“, რისთვისაც შეიძინა საჭირო მედიკამენტები და ავიდა თავის ბინაში. მოგვიანებით მასთან სტუმრად მივიდნენ მისი მეგობრები - დ. კ-ე და დ. რ-ა, რომლებმაც არაფერი იცოდნენ გ. ბ-ის განზრახვის შესახებ. რამდენიმე წუთში, ოჯახური კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინების საფუძველზე, აღნიშნულ მისამართზე გამოცხადდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ბინაში შესვლისას მათ დაინახეს მაგიდასთან მჯდარი გ. ბ-ი, რომელსაც წინ ელაგა საინექციო შპრიცები და სხვა სამედიცინო ნივთები. ამის საფუძველზე პოლიციელებმა დააკავეს ბინაში მყოფი სამივე პირი.

გ. ბ-ის ბინის ჩხრეკის დროს ამოიღეს ერთჯერადი მოხმარების, 10 მლ ტევადობის შპრიცი მასში მოთავსებული 3 მლ ოდენობის ხსნარით, რომელიც აღმოჩნდა „ეფედრონის“ შემცველი. ხსნარში „ეფედრონის“ რაოდენობა შეადგენს 0,0185 გრამს. ასევე ამოიღეს ერთჯერადი მოხმარების, 20 მლ ტევადობის შპრიცი მასში მოთავსებული 1,5 მლ ხსნარით, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ეფედრონის“ რაოდენობაა 0,009 გრამი.

გარდა ამისა, გ. ბ-ს დაუდგინდა „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 17 ივლისიდან. მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ბ-მა და მისმა ადვოკატმა პ. მ-მა. მათ ითხოვეს სასჯელის შემცირება მინიმუმამდე, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენი შეიცვალა: გ. ბ-ს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახევრდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის საფუძველზე და ამ მუხლით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მსჯავრდებულს მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ აქვს მძიმე ოჯახური მდგომარეობა; ჰყავს ხანდაზმული, პენსიონერი მშობლები და ავადმყოფი ძმა; ოჯახი მის კმაყოფილება და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას მინიმუმამდე ან პირობითი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის განაჩენი, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ეყრდნობა ბინის ჩხრევის ოქმსა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლებიც სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, არც გამოკვლეულა მხარეთა მონაწილეობით. ამ კონკრეტულ საქმეზე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ამ მტკიცებულებებს.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 484-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივითაც გამოიკვლიოს საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები და საგამომიებო მოქმედებათა ოქმები.

ამდენად, გ. ბ-ის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს საკასაციო პალატის მითითებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულის გამო, პალატა ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განაჩენი გ. ბ-ის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

განჩინება

#700-აპ-09

29 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის განაჩენით ბ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. მ-მემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ შეიძინა ქალაქის პატარა პაკეტებში სამ ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული, 0,067 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“, რაც უკანონოდ შეინახა შარვლის ჯიბეში, რომელიც 2008 წლის 21 ოქტომბერს მისგან ამოიღეს ჩატარებული საგამომიებო მოქმედების შედეგად.

აღნიშნული ქმედებისათვის ბ. მ-მეს განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. მ-მემ, რომელმაც ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ბ. მ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარდა უხარისხოდ, ზერელედ და ცალმხრივად; საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა არ ჩატარებულა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის დაცვით; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდებს და არა - უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

კასატორის განმარტებით, ნარკოტიკული საშუალება მას ჯიბეში ჩაუდეს პოლიციელებმა; ყველა ოქმზე ხელი მოაწერინეს ადვოკატის გარეშე და აღიარებინეს დანაშაული; დაემუქრნენ, რომ ოჯახის წევრებსაც შეუქმნიდნენ პრობლემებს. საქმეშია ცნობა, რომ მსჯავრდებული იყო ძლიერ ნაცემი და სამჯერ იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოძახებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ საქმის წინასწარი გამოძიების დროს მასზე ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა, კერძოდ:

გარდა იმისა, რომ საქმეში არ მოიპოვება საკასაციო საჩივარში აღნიშნული სამედიცინო ცნობა, ბ. მ-მის ინტერესებს დაკავების დღიდანვე იცავდა ადვოკატი. იგი ესწრებოდა ბრალდებულის დაკითხვასაც და თუნდაც განცხადება პოლიციელთა უკანონო ქმედების შესახებ საქმის წინასწარი გამოძიებისას არ ფიქსირდება.

სააპელაციო სასამართლოში ბ. მ-მე ჯერ მიუთითებს, რომ სცემეს პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ კი აღნიშნავს, რომ დაკავების ადგილზე სცემეს, რის გამოც დაჰკარგა გონება და "გაურკვეველ" ვითარებაში ხელი მოაწერინეს ოქმებს. ამავე ჩვენებით, ბ. მ-მე მუქარით აიძულეს, ეღიარებინა დანაშაული, შემდეგ კი დანაშაული აღიარა საპროცესო შეთანხმების გაფორმების პირობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს არ აწერს სხდომის თავმჯდომარე, მაგრამ ეს გარემოება მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს, რადგან სააპელაციო სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებიც უტყუარად ადასტურებს ბ. მ-მის ბრალეულობას.

დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ოქმის ყველა გვერდს ხელს აწერს ბ. მ-მე, რომელმაც უარი განაცხადა ჩხრეკის დამსწრეთა მოწვევაზე. დაკავების შემდეგ ბ. მ-მეს დაუდგინდა ნარკოტიკის მიღების ფაქტი. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებულისაგან ამოღებული ნივთიერება შეიცავს "ჰეროინს". ბ. მ-მის ბრალეულობას ადასტურებს ფარული მიყურადებით მოპოვებული საუბრების ამსახველი კრებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მისი სამოტივაციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს იმ მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც სააპელაციო სასამართლოში არ გამოკვლეულა. სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მოწმეების - ვ. ხ-მისა და ი. მ-შვილის ჩვენებებზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. შებრუნება საუარესოდ

განჩინება

#728-აპ-09

23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მენიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-ის ადვოკატ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით გ. ლ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და სადგომში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის აპრილში, რიცხვი დაუდგენელია, გ. ლ-ი დაუკავშირდა ა. მ-ესა და თ. მ-ს, რომლებსაც მიცემული რჩევა-დარიგებით ხელი შეუწყო ქ. თბილისში, ... ქუჩის #1-ში მდებარე გაზგასამართ სადგურ შპს „გ-ს“ ოფისზე ყაჩაღური თავდასხმის ჩადენაში, სადაც თვითონ გამმართველად მუშაობდა. შეთანხმებისამებრ, გ. ლ-ი თ. მ-ეს ინფორმაციას აწვდიდა გაზგასამართ სადგურის სალაროში არსებული თანხის რაოდენობის შესახებ. მათ ასევე, მოილაპარაკეს, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს გ. ლ-ი თანამზრახველებს შენობის კარს გაუღებდა.

2006 წლის 20 აპრილს, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე, ა. მ-ემ, თ. მ-მა და დაუდგენელმა სამმა პირმა უკანონოდ შეაღწიეს შპს „გ-ს“ გაზგასამართ სადგურის შენობაში, რომლის შესასვლელი კარი, შეთანხმებისამებრ, დანარჩენი თანამშრომლებისაგან მალულად გააღო გ. ლ-მა. შესვლისთანავე შემოაღნიშნული პირები ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენების მუქარით თავს დაესხნენ იქ მყოფებს - გ. ზ-ს, დ. ჭ-ესა და ბ. ლ-ს, შეუკრეს ხელები, შეიყვანეს სამზარეულოში, რის შემდეგ ძალაყინით გახსნეს საოპერატორო ოთახში მდგარი სეიფი და გაიტაცეს 9 ათასი ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით გ. ლ-ი გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და თავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა თ. ხ-ამ. მან მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, გ. ლ-ის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად 9 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის განაჩენით პროკურორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა გამამართლებელი განაჩენი. გ. ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, ჯარიმა - 3 ათასი ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 15 ივლისიდან. მას სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 4 ოქტომბრიდან 2008 წლის 5 ნოემბრამდე.

კასატორი - ადვოკატი ი. ჩ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს, ხოლო გ. ლ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო: მოცემულ საქმეზე გ. ლ-ის მიმართ წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; საქართველოს სსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატა თავისი განაჩენით გასცდა ბრალდების ფარგლებს, ამასთან, გ. ლ-ის მდგომარეობა საუარესოდ შეაბრუნა იმ საფუძვლით, რომელიც ბრალდებას არ ჰქონდა მითითებული თავის სააპელაციო საჩივარში; სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი ისე გამოიტანა, რომ არ ჩატარა სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით, რითიც დაარღვია სსკ-ის 540-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ გ. ლ-ი მოცემულ საქმეზე დაზარალებულად იყო ცნობილი. მას ყაჩაღობის დროს ბოროტმოქმედებმა წართვეს „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი მასში

გააქტიურებული სიმბარათით, მაგრამ გამოძიებას ამ ტელეფონის ძებნა არც უცდია. მათ მოიპოვეს მხოლოდ კრებსები, საიდანაც ერთ-ერთი ნომერი ეკუთვნოდა თ. მ-ს, რომელიც სხვა დანაშაულისათვის უკვე დაპატიმრებული იყო. აქედან წარმოიშვა ვერსია, რომ შპს „გ-ზე“ ყაჩაღური თავდასხმის მონაწილეთაგან ერთ-ერთი შეიძლება ყოფილიყო თ. მ-ი. ამ ვერსიის დასადასტურებლად შსს-ში გამოიძახეს შპს „გ-ს“ თანამშრომლები და ჩაატარეს ფოტოსურათებით ამოცნობა (თუმცა, ამოცნობის ოქმები არ გაფორმებულა). გ. ლ-ს „ურჩიეს“, რომ ხელი დაედო თავისი ძველი ნაცნობის - თ. მ-ისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ. გ. ლ-მა ვერ გაუძლო ზეწოლას და გაემგზავრა რუსეთში ნათესავებთან. გამოძიებამ თ. მ-სა და ა. მ-ეს ბრალად აღნიშნული ყაჩაღობაც შერაცხეს (თუმცა მათთვის შერაცხულ ბრალდებებში გ. ლ-ი თანამონაწილედ არ არის მოხსენიებული) და საქმე წარმართეს სასამართლოში, მანამდე კი ცალკე წარმოებად გამოყვეს საქმე დაუდგენელი პირობის მიმართ.

გ. ლ-ის წინააღმდეგ ერთ-ერთ მტკიცებულებად (გარდა მასსა და თ. მ-ს შორის განხორციელებული ზარების ამონაწერისა) გამოიყენეს შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ძარცვა-ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროს ნ. ს-სა და ბრალდებულ უ. გ-ეს შორის საუბრის ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რა დროსაც უ. გ-ე თავის დაქნევით ადასტურებს ა. მ-ის, თ. მ-ის, ს. დ-ისა და გ. ლ-ის ყაჩაღობაში მონაწილეობის ფაქტს. ამ ორი საექვო მტკიცებულების საფუძველზე გ. ლ-ი დაუსწრებლად მისცეს პასუხისმგებში, როგორც ყაჩაღობაში დამხმარე პირი ისე, რომ არ გაუუქმებიათ მისი დაზარალებულად ცნობის დადგენილება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ლ-ის საქმის განხილვამდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განაჩენით თ. მ-ი და ა. მ-ე გამართლდნენ შპს „გ-ზე“ თავდასხმის ეპიზოდში, რადგან ერთადერთი არაპირდაპირი მტკიცებულება - უ. გ-ესთან ჩატარებული ფარული აუდიოჩანაწერი სასამართლომ სარწმუნოდ და სხვა მტკიცებულებებით გამაგრებულად არ მიიჩნია, ვინაიდან უ. გ-ე ფაქტის თვითმხილველი არ ყოფილა. ამის გამო გამოირიცხა გ. ლ-ის ბრალეულობის სავარაუდო საფუძველიც და მისი დანაშაულებრივი კავშირი თ. მ-თან. შედეგად, პროცესში მონაწილე პროკურორმა მხარეთა კამათის დროს შეცვალა ბრალდების ფორმულირება, ამორიცხა გ. ლ-ის დანაშაულებრივი კავშირი, შეცვალა თანამონაწილეობის სტატუსი დამხმარიდან დაუდგენელ პირობებთან თანამსრულებლის სტატუსით, რითიც გააფართოვა ბრალდების მოცულობა. ამის არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძველები აღარ არსებობდა. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით სრულიად კანონიერად და დასაბუთებულად გამართლდა გ. ლ-ი წარდგენილ ბრალდებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, პროკურატურამ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გამამართლებელი განაჩენი, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამასთან, სააპელაციო პალატა გასცდა ბრალდების მოთხოვნას და თავისუფლების აღკვეთასთან ერთად მსჯავრდებულს დამატებითი სასჯელიც განუსაზღვრა.

ადვოკატი ი. ჩ-ე ასევე აღნიშნავს, რომ შპს „გ-ზე“ ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდში თ. მ-ისა და ა. მ-ის მიმართ დადგენილ გამამართლებელ განაჩენს სააპელაციო სასამართლომ გ. ლ-ის მიმართ არ მიანიჭა პრეიუდიციული ხასიათი მხოლოდ იმ მოტივით, რომ უ. გ-ე გ. ლ-თან მიმართებაში საერთოდ არ დაკითხულა, ამიტომ ეს ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი მისი ბრალეულობის უტყუარი მტკიცებულებააო. თუ ეს ასეა, მაშინ საექვო წარმოშობის მტკიცებულება - ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი - სასამართლოს როგორღა მიაჩნია გ. ლ-ის ბრალეულობის უდავო მტკიცებულებად. სასამართლოსათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა უ. გ-ის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვა, მაშინ, როდესაც მან საკუთარი ინიციატივით შსს-დან გამოითხოვა და დაათვალიერა ჟურნალი. ეს მტკიცებულება კი არც წინასწარ გამოძიებაში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოკვლეულა, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა სააპელაციო პალატას, აღნიშნული გამოყენებინა საკუთარი შინაგანი რწმენის შესაქმნელად და გ. ლ-ის მდგომარეობის გასაუარესებლად. ამ ჟურნალის დათვალიერებისას გაირკვა, რომ ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი გაკეთდა პროკურორის დადგენილებისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე - 2006 წლის 16 ივნისს, ხოლო პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ჩატარებაზე გამოტანილია ამ ღონისძიების განხორციელების შემდეგ - 2006 წლის 17 ივნისს, რაც პირდაპირ ადასტურებს, რომ ეს მტკიცებულება მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით და დაუშვებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ პალატამ მხოლოდ თ. მ-ისა და სხვათა ბრალდების საქმეზე დართული „ჩი“ დისკის დემონსტრირება მოახდინა, ხოლო საქმის მასალები - ამ ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის ირგვლივ უ. გ-ის მიერ მიცემული ჩვენებები არ გამოუკვლევიან. სამაგიეროდ, დაზარალებულების - მ. ზ-ის, დ. ჭ-ისა და მოწმე ლ. ს-ის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია გ. ლ-ის ბრალეულობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გ. ლ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებელია საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ, დაუნიშნა რა დამატებით სასჯელად ჯარიმა, გ. ლ-ის მდგომარეობა საუარესოდ შეაბრუნა იმ საფუძვლით, რომელიც ბრალდების მხარეს არ ჰქონდა მითითებული თავის სააპელაციო საჩივარში.

პროკურორი სააპელაციო საჩივარში მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, გ. ლ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით და სასჯელად 9 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას. სააპელაციო სასამართლო გასცდა პროკურორის მოთხოვნას და მსჯავრდებულს, 8 წლით თავისუფლების აღკვეთის გარდა, 3 000 ლარი ჯარიმაც შეუფარდა დამატებითი სასჯელის სახით. საქართველოს სსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს, რაიმე გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ასევე საფუძვლიანია საკასაციო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის კრებსები და ამ ჩანაწერის „ჩD“ დისკი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გ. ლ-ის საწინააღმდეგო მტკიცებულებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განაჩენით თ. მ-ი და ა. მ-ე, რომლებსაც სხვა დანაშაულებთან ერთად ბრალი ედებოდათ შპს „გ-ზე“ თავდასხმაში, ამ ეპიზოდში გამართლებულ იქნენ, ვინაიდან სასამართლო პროცესზე გამოკვლეული ფარული ჩანაწერი, სადაც კონფიდენტთან საუბრისას უ. გ-ე ამ თავდასხმაში მონაწილეებად ასახელებდა ა. მ-ეს და თ. მ-ს, სარწმუნოდ არ იქნა მიჩნეული, ვინაიდან უ. გ-ე აღნიშნული ფაქტის თვითმხილველი არ ყოფილა, ხოლო სასამართლო სხდომაზე მან არ დაადასტურა ხსენებული ინფორმაციის სისწორე (თვითონ უ. გ-ე იყო დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, მაგრამ შპს „გ-ზე“ თავდასხმაში ბრალი არ ედებოდა). სწორედ თ. მ-თან და ა. მ-ესთან ერთად ედებოდა ბრალად გ. ლ-ს შპს „გ-ზე“ თავდასხმა და სწორედ აქ ასახელებდა უ. გ-ე სამივეს. თუ პირველ ორზე არ გამოდგა ეს ჩანაწერი მტკიცებულებად, არ გამოდგება არც გ. ლ-ზე.

გარდა ამისა, თვით ეს „ჩD“ დისკი გ. ლ-ის ბრალდების საქმეს არ ერთვოდა და არც გ. ლ-ის საქმის განმხილველ სასამართლოს უცვნია იგი მტკიცებულებად. ეს დისკი ნივთმტკიცებად ერთვის უ. გ-ის, თ. მ-ის, ა. მ-ისა და სხვათა ბრალდების საქმეს და იგი ამ საქმესთან ერთად სააპელაციო სასამართლოს მიერ მხოლოდ დასათვალისწინებლად იქნა გამოთხოვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივიდან.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მტკიცებას იმის შესახებ, რომ გ. ლ-ის მიმართ წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამოძიების საფუძვლების არსებობისას და სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი ისე გამოიტანა, რომ არ ჩაატარა სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით.

სააპელაციო სასამართლოში, გარდა მსჯავრდებულისა, დაკითხულ იქნენ დაზარალებულები: დ. ჭ-ე, მ. ზ-ი, ბ. ლ-ი, თ. ს-ი, მოწმეები: ა. ც-ე, ლ. ს-ე და სხვები, გამოქვეყნებული და გამოკვლეული იქნა სხვა მტკიცებულებები. მართალია, არ დადასტურდა გ. ლ-ის დანაშაულებრივი კავშირი თ. მ-თან და ა. მ-ესთან, მაგრამ საქმის სასამართლო განხილვის პროცესში სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდებიდან ამორიცხა ყაჩაღობის ჩადენა მათთან ერთად და გ. ლ-ს ბრალად დასდო ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად, სადგომში უკანონო შეღწევით.

სააპელაციო სასამართლომ, გაანალიზა რა დ. ჭ-ის, მ. ზ-ის, ბ. ლ-ის, თ. ს-ის, ა. ც-ის, ლ. ს-ის ჩვენებები, მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. თავის საჩივარში თვით კასატორიც, უარყოფს რა სატელეფონო საუბრების კრებსების და კონფიდენტთან საუბრის ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერების ოქმების და „ჩD“ დისკების გამოყენების შესაძლებლობას გ. ლ-ის საწინააღმდეგო მტკიცებულებად, ყურადღებას არ ამახვილებს დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებზე, არ იძლევა მათ კრიტიკულ ანალიზს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ისინი ურთიერთგამომრიცხავია.

სააპელაციო პალატის განაჩენში გაანალიზებული და ახსნილია წინასწარი გამოძიების და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე ამ ჩვენებებში არსებული ცალკეული წინააღმდეგობების მიზეზები, რასაც საკასაციო პალატა ეთანხმება.

განაჩენის დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ობიექტური ჭამმართველების დასადგენად. უტყუარა-

დაა დადგენილი, რომ სწორედ გ. ლ-ი დაეხმარა ყაჩაღური ჯგუფის წევრებს, შეეღწიათ შპს „გ-ს“ შენობაში.

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამართლებრივი პროცედურის არსებით დარღვევებს. მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა სწორი კვალიფიკაცია, ხოლო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი (8 წელი) შეესაბამება გ. ლ-ის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ლ-ის ადვოკატ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება კონფიდენტთან საუბრის ფარულ აუდიო-ვიდეო ჩანაწერის კრებსა და „ჩD“ დისკზე;

სააპელაციო პალატის განაჩენი გაუქმდეს გ. ლ-ისთვის დამატებით სასჯელად ჯარიმის - 3 000 ლარის დანიშვნის ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. განაჩენთა შეჯამება

განჩინება

#10¹-09

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ო-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის პირადი საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 მაისის განაჩენით არასრულწლოვანი გ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ზ", "თ" ქვეპუნქტების (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; იმავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. გ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) შესაბამისად, აღნიშნულ სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატა წინათ მის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 24 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: გ. ბ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში იგი გამართლდა.

ამასთან, გ. ბ-ძის ქმედება ყაჩაღობის ნაწილში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). აღნიშნული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, ამ განაჩენით გ. ბ-ძის მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის პირველი ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ძეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადა შეუმცირდა 6 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით არასრულწლოვანი გ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) პირველი ნაწილის შესაბამისად, მას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლით გ. ბ-ძეს, როგორც არასრულწლოვანს, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და აღნიშნული განაჩენით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2006 წლის 27 ოქტომბრიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გ. ბ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი დარჩა უცვლელად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის #2 სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორის მოადგილის, რ. ჯ-შვილის 2009 წლის 27 იანვრის მიმართვის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 614-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ბ-ძისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით უცვლელად იყო დატოვებული, დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს მოსახდელი სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 10 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2009 წლის 24 თებერვლიდან.

გარდა აღნიშნულისა, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის პირადი საქმის მასალებით დგინდება შემდეგი: გ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ო-ის მიერ ახლად გამოვლენილი გარემოების გამო შეტანილი საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ნოემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), სხვა ნაწილში კი განაჩენი დარჩა უცვლელად. ამავე დროს გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის #1 საპრობილის ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე, ცვლილება შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილებაში, კერძოდ: "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ბ-ძე გათავისუფლდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის შედეგადაც მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს მოსახდელი სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 10 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო 2009 წლის 24 თებერვლიდან.

მსჯავრდებულმა გ. ბ-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა გ. ო-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილება გაასაჩივრეს კერძო სააპელაციო წესით. აპელანტები ითხოვდნენ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანას გ. ბ-ძის სასიკეთოდ, კერძოდ, მათი აზრით, განაჩენთა შეჯამებისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის ათვლა, იმავე განაჩენის მითითებით, მას დაეწყო 2006 წლის 27 ოქტომბრიდან, რაც არ გაითვალისწინა რუსთავის საქალაქო სასამართლომ, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-

ტის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელიდან 2009 წლის 24 თებერვლისათვის მოსახდელად დარჩენილი სასჯელისათვის - 3 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთისათვის - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი - 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა დაემატებინა არა მთლიანად, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, ე.ი. რაც დარჩენილი იყო 2009 წლის 24 თებერვლისათვის - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 11 თვითა და 4 დღით. აპელანტთა დასკვნით, აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს საბოლოო მოსახდელ სასჯელად უნდა განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 6 თვითა და 4 დღით. გარდა ამისა, აპელანტები ასევე მიუთითებენ, რომ სასამართლოებმა გ. ბ-ძეს არ შეუფარდეს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლებულიყო გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რომელიც უნდა გამოაკლდეს ასევე მათ მიერ გამოთვლილ შეჯამებულ სასჯელს - 6 წლით, 6 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთას და საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს მოსახდელად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 6 თვითა და 4 დღით.

აპელანტების - გ. ბ-ძისა და გ. ო-ის კერძო სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით არ დააკმაყოფილა კერძო სააპელაციო საჩივრები, ვინაიდან მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილება მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ გ. ბ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. ო-მა კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც აყენებს იმავე მოთხოვნას იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო კერძო სააპელაციო საჩივრებში, კასატორი აგრეთვე ითხოვს გასაჩივრებული განჩინების შეცვლას მსჯავრდებულ გ. ბ-ძის სასიკეთოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა როგორც მსჯავრდებულ გ. ბ-ძის პირადი საქმის, ასევე სასამართლო წარმოების მასალები და შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ უსაფუძვლოა კასატორის პოზიცია მსჯავრდებულ გ. ბ-ძისათვის ორი სხვადასხვა განაჩენით სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ორი სასჯელის ერთდროულად მოხდისა და, აქედან გამომდინარე, ამ სასჯელების შესაბამისი ნაწილების მის მიმართ განაჩენთა შეჯამებისას და საბოლოო სასჯელის ზომის განსაზღვრისას მოხდითად ჩათვლის თაობაზე. ასეთი პოზიცია არ შეესაბამება არც მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და არც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, რადგან ისინი არ იცნობენ რაიმე ისეთ სამართლებრივ მექანიზმს, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულის მიმართ ორი სხვადასხვა განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ორი სასჯელის ერთდროულად მოხდა, როდესაც ეს სასჯელები არ შეკრებილა და არ არის დანიშნული ერთიანი სასჯელი განაჩენთა ერთობლიობის წესით.

ასეთ შემთხვევაში ხდება განაჩენთა შეჯამება საქართველოს სსკ-ის 614-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად იკრიბება მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან, ხოლო ასეთი საბოლოო სასჯელის მოხდის ათვლა იწყება შესაბამისი სასამართლოს მიერ იმ დადგენილების გამოტანის დღიდან, რომლითაც შეჯამდა კანონიერ ძალაში არსებული და სისრულეში მოუყვანელი ორი განაჩენი და მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი განესაზღვრა. მოცემული საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არა მარტო სასამართლოებრივად არის განსაზღვრული, არამედ დადასტურებულია ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკითაც (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინება #27¹ კ. ჯ-შვილის საქმეზე).

მართალია, როგორც კასატორი მიუთითებს, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ გამოტანილ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 მაისის განაჩენში, ასევე, შემდგომში ამავე საქმეზე სააპელაციო და საკასაციო სასამართლო ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის ათვლა მას დაეწყო 2006 წლის 24 მარტიდან, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24

ოქტომბრის განაჩენსა და ამავე საქმეზე სააპელაციო სასამართლო ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ამ განაჩენით დანიშნული სასჯელის ათვლა მას დაეწყო 2006 წლის 27 ოქტომბრიდან, მაგრამ ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბოლო განაჩენის დამდგენი სასამართლოსათვის არ იყო ცნობილი გ. ბ-ძის მიმართ სისრულეში მოუყვანელი და კანონიერ ძალაში შესული სხვა განაჩენის არსებობის შესახებ, რის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 614-ე მუხლით გათვალისწინებული ვითარება. ამიტომ დაცვის მხარის მსჯელობა ორი სხვადასხვა განაჩენით დანიშნული სასჯელების ერთდროულად მოხდისა და სასჯელთა შეჯამებისას ამის გათვალისწინების თაობაზე, მოკლებულია კანონიერ საფუძველს, რის გამოც ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

კასატორი თავის საჩივარში მიუთითებს აგრეთვე იმის თაობაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ არსებული ორი განაჩენის შეჯამებისას და ამ განაჩენებით დანიშნული სასჯელების შეკრებისას მის მიმართ არ გავრცელდა "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონი, ამ უკანასკნელის საფუძველზე მას არ მოეხსნა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და იგი არ ამოირიცხა მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელიდან. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მსჯავრდებულ გ. ბ-ძის პირადი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ამჟამად აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია, კერძოდ: გორის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1 საპრობილის ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე 2009 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით უკვე იმსჯელა და მსჯავრდებული გ. ბ-ძე "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად გაათავისუფლა ამავე სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის განაჩენის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რომელიც გამოაკლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილებით საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრულ სასჯელს. ამის შედეგად ამჟამად მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს საბოლოო მოსახდელ სასჯელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 10 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 24 თებერვლიდან, რის გამოც აღარ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნის განხილვისათვის, რადგან აღნიშნული მოთხოვნა ფაქტობრივად უკვე დაკმაყოფილებულია.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ძეს სწორად აქვს განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 10 თვის ვადით, აგრეთვე ამ სასჯელის მოხდის დაწყების დრო - 2009 წლის 24 თებერვალი და აღარ არსებობს საფუძველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინების შეცვლისათვის, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორ გ. ო-ს უარი ეთქვას მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ო-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ გ. ბ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

განჩინება

#201-აპ-10

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. კ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის განაჩენით ვ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში (2 ეპიზოდში), რომ ჩაიდინა თაღლითობა დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ... რეგისტრირებული ვ. ხ-ი დროებით ცხოვრობდა თბილისში, დაფუძნებული ჰქონდა ინდუსტრიული „ვ. ხ-ი“, თბილისში, გამსახურდიას ქ. #-ში მდებარე შპს „ა-ას“ სასურსათო მაღაზიის სარდაფში ნაქირავები ჰქონდა ოთახი, სადაც ვაჭრობდა საქონლის ხორცი. იგი მოსახლეობისაგან ყიდულობდა საქონლის ხორცს და შემდეგ ახდენდა მის რეალიზაციას. 2007 წლის თებერვალში მან განიზრახა თაღლითობის ჩადენა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ვ. ხ-ი დაუკავშირდა კასპის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ა. ს-ს და თ. ა-ის, რომლებთანაც დადო სიტყვიერი შეთანხმება, რომ მათ დაეკლათ მსხვილფეხა პირუტყვი და ხორცი ჩაეტანათ მისთვის თბილისში. ვ. ხ-ი კილოგრამ ხორცში გადაუხდიდა 6,2 ლარს, ხოლო საქონლის ტყავები, თავ-ფეხი და შიგნეულობა უნდა მიეცათ უფასოდ. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე ა. ს-ისა და თ. ა-ის ნდობა ვ. ხ-მა გამოიყენა ბოროტად, მათ თავიანთი პირუტყვი - 82 სული მოზვერი ნაწილ-ნაწილ დააკვლევინა და ხორცი თბილისში ჩაატანინა. ნდობის განმტკიცებისა და განზრახვის ბოლომდე სისრულეში მოსაყვანად ვ. ხ-ი მათ პერიოდულად უხდიდა მცირეოდენ თანხას და ჰპირდებოდა, რომ ხორცის მთლიანად რეალიზაციის შემდეგ დაუფარავდა საერთო თანხას. როდესაც პირუტყვის ხორცის მთლიანად რეალიზაცია მოახდინა, ვ. ხ-ი თავს არიდებდა თანხის გადახდას. ა. ს-ი და თ. ა-ი მიხედნენ, რომ მან ისინი მოატყუა, მათი ნდობა გამოიყენა ბოროტად და შესაძლებელი იყო, აღარ გადაეხადა მათთვის ხორცის ღირებულება - 72000 ლარი. დაზარალებულებმა აიძულეს ვ. ხ-ი, გაჰყოლოდა თბილისში, ... ქ. #-ში მდებარე სანოტარო კანტორაში ნოტარიუს ს. მ-ესთან, ვინც გააფორმა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის თანახმად, ვ. ხ-ს ვალის სახით მიღებული ჰქონდა 72000 ლარი და იგი კისრულობდა ვალდებულებას, რომ 2007 წლის 20 აპრილამდე დაუბრუნებდა ვალის ნაწილს - 37000 ლარს, ხოლო 2007 წლის 30 ივნისამდე კი - დარჩენილ 35000 ლარს. აღნიშნულის შემდეგ ა. ს-მა და თ. ა-იმ კატეგორიულად განუცხადეს ვ. ხ-ს, რომ, თუ იგი მთლიანად არ გადაიხდიდა ზემოთ მითითებულ თანხას, განაცხადებდნენ პოლიციაში. ვ. ხ-მა მათ გადაუხადა მხოლოდ 22000 ლარი, შემდეგ კი მათი ნდობის ბოროტად გამოყენებით მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა დიდი ოდენობით თანხა - 50000 ლარი და მიიმალა.

ვ. ხ-მა, იყო რა ინდემწარმე, განიზრახა თაღლითობის ჩადენა. 2007 წლის თებერვალში, როგორც ა. ს-სა და თ. ა-ის, ანალოგიური მეთოდითა და ხერხით შეუთანხმდა სოფელ - მცხოვრებ მ. ს-ი ო-ის, რომ შეისყიდოდა მისი კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვის ხორცს და 1 კილოგრამში გადაუხდიდა 6 ლარს, ხოლო საქონლის ტყავები, თავ-ფეხი და შიგნეულობა უნდა მიეცა უფასოდ. შეთანხმების საფუძველზე მ. ს-ი ო-იმ პერიოდულად დაკლა 30 სული მოზვერი და ხორცი სამ გზად ჩაუტანა და ჩააბარა ვ. ხ-ს, რომელმაც გადაუხადა ხორცის ღირებულების ნაწილი - 9000 ლარი, ხოლო 21000 ლარის გადახდას დაჰპირდა მოგვიანებით. იმის გამო, რომ მ. ს-ი ო-ი კატეგორიულად მოითხოვდა თანხის გადახდას, ვ. ხ-მა მასთან გააფორმა სანოტარო ხელშეკრულება, რომ თითქოს მას მ. ს-ი ო-ისაგან ნასესხები ჰქონდა 21000 ლარი, რასაც ეტაპობრივად დაუბრუნებდა 2008 წლის 28 თებერვლამდე. ვ. ხ-მა მისი ნდობა გამოიყენა ბოროტად და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მ. ს-ი ო-ის კუთვნილი თანხა დიდი ოდენობით - 21000 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ხ-ს საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 28 სექტემბრიდან; მასვე ა. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 25000 ლარის, თ. ა-ის სასარგებლოდ - 25000 ლარის, ხოლო მ. ს-ი ო-ის სასარგებლოდ - 21000 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. კ-ემ. მან ითხოვა საქმის განხილვა სრულყოფილად, კანონიერად და დასაბუთებული და სამართლიანი გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული ვ. ხ-ი და ადვოკატი ა. კ-ე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ ვ. ხ-ს არასოდეს ჩაუდენია რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება; მას თაღლითურად ვინმეს ფულის მისაკუთრების განზრახვა არ ჰქონია; გაფორმებული ჰქონდა ვალის აღიარების სანოტარო ხელშეკრულება და თანდათანობით ისტუმრებდა თანხას; ფულის გადახდის გაჭიანურება გამოიწვია ჯერ ქვეყანაში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა და შემდეგ - იმავე წლის სექტემბერში მისმა დაპატიმრებამ, რის გამოც მან ვერ გაისტუმრა დაზარალებულები.

კასატორთა აზრით, თუ ვ. ხ-მა მაინც ჩაიდინა დანაშაული, ეს მოხდა თბილისში, ამიტომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიება თბილისში უნდა ჩატარებულიყო; გორში კი განაჩენი ისე გამოიტანეს, რომ საქმის სასამართლო განხილვა არ მომხდარა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, იქ დაზარალებულებმა განაცხადეს, რომ 250000 ლარიდან 200000 ლარი ვ. ხ-ს უკვე მიცემული ჰქონდა; ამასთან, მათ ვერ თქვეს, თუ ვისი თანხა და რამდენი რამდენჯერ ჰქონდა მითვისებული მსჯავრდებულს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორები მიუთითებენ, რომ გორის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვა არ მომხდარა, მაგრამ როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოში განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო და მხარეთა თანხმობით გამოძიება შეიკვეცა.

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივებს ვ. ხ-ის უდანაშაულობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურობას.

დაზარალებულთა ჩვენებებიდან გამომდინარე, ვ. ხ-ი მათ გადასახდელი თანხის ნაწილს ამლევდა იმ პირობით, რომ პოლიციისათვის არ მიემართათ, შემდეგ კი მიიშალა. საფუძვლიანია სააპელაციო პალატის მითითება, რომ ამგვარი ქმედებით მსჯავრდებული განამტკიცებდა მისდამი ნდობას და იყენებდა დაზარალებულთა ქონების კვლავ დასაუფლებლად.

მსჯავრდებული მიუთითებს, რომ სხვა პირებზე გაცემული საქონლის საფასური არ გადაუხადეს, მაგრამ იგი არ ასახელებს ამ პირებს და, შესაბამისად, არც მათი დაკითხვა მოუთხოვია.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიება უნდა ჩატარებულიყო თბილისში. დადგენილია, რომ ვ. ხ-მა თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი - მოტყუება - განახორციელა კასპის რაიონში, რის გამოც პალატა მიიჩნევს, რომ საქმის გამოძიებისას ტერიტორიული ქვემდებარეობისა და განსჯადობის შესახებ კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა.

ამასთან, არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ, ბრალად შერაცხული ქმედებები ვ. ხ-მა ჩაიდინა 2007 წლის თებერვალში, ხოლო არაერთგზის დანაშაულთან დაკავშირებით სსკ-ის მე-15 მუხლში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდა იმავე წლის 2 აგვისტოდან. ამდენად, ვ. ხ-ის ქმედებები უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით და მას უნდა დანიშნოდა ერთი სასჯელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედებები სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებზე და, შესაბამისად, დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს.

სხვა ნაწილში განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. ხ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. კ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განაჩენი შეიცვალოს: ვ. ხ-ის ქმედებები სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებზე და საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი

განჩინება

#559-აპ-10

10 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განაჩენზე დ. გ-ისა და ზ. კ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 იანვრის განაჩენით დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

ამავე განაჩენით ზ. კ-ო ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ნაწილებით, 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება; პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტების გატაცება; ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით; ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა; ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა, ტარება და დამზადება; ცივი იარაღის - საკეცი დანისა და საჯიგველის (ე.წ. „კასტეტის“) მართლსაწინააღმდეგო ტარება ადრე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 29 აპრილს, ღამით, დაახლოებით 23 საათზე, რუსთავეში მცხოვრები ზ. კ-ო დაუდგენელ პირებთან ერთად იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე. ისინი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ყაჩაღურად თავს დაესხნენ ბ. მ-ის ოჯახს, სადაც იმ დროისათვის იყვნენ თავად ბ. მ-ი, მისი ვაჟები - გ. და ნ. მ-ები, მეუღლე - ნ. მ-ი, რძალი - მ. ჯ-ი და მოხუცი მამა - ნ. მ-ი. ოჯახში შესვლისთანავე ზ. კ-ომ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა გაისროლეს იარაღიდან, შემდეგ ხელ-ფეხი შეუკრეს ოჯახის უფროსსა და მის შვილს - გ. მ-ს, რომლებიც დააწვინეს იატაკზე და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით დაიწყეს ძვირფასეულობის, ოქროსა და ფულის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ მოკვლით. ქმრისა და შვილის მოკვლის მუქარით შეშინებულმა ნ. მ-მა ბოროტმოქმედებს გადასცა ოჯახში არსებული ოქროს ნივთებისა და დანაზოგი თანხის ნაწილი. მიუხედავად ამისა, თავდამსხმელები კვლავ ითხოვდნენ ფულს, ოქროსა და სხვა ძვირფასეულობას; ამასთან, გაცხელებული უთოს გამოყენებით აწამებდნენ გ. და ბ. მ-ებს და იმუქრებოდნენ მოკვლით. ნ. მ-მა მათ გადასარჩენად დარჩენილი ოქროს ნივთები და ფული

მთლიანად გადასცა ზ. კ-ის და მასთან მყოფ პირებს, რის შემდეგაც ბოროტმოქმედებმა დატოვეს ბ. მ-ის ოჯახი. სულ თავდამსხმელებმა გაიტაცეს 18 233 ლარის ოდენობის ოქროს ნივთები, ბიჭუტერია, ფული და მობილური ტელეფონები, ასევე - ნ. მ-ის პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, მანქანის ტექნიკური პასპორტი, 4 პლასტიკური ბარათი, რითიც დაზარალებულებს მიაყენეს დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

ზ. კ-ომ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა 12-კალიბრიანი, „ტოზ-34“ მარკის სანადირო თოფი #, რომელიც გადაჭრა და დაამზადა მოკლელულიანი გადაჭრილი თოფი, რომელსაც შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. იყო რა ნასამართლვეი განსაკუთრებით მძიმე განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ასევე შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა ცივ იარაღს - საკეც დანასა და შავი ფერის საჯიგველს, ე.წ. „კასტეტს“.

2009 წლის 1 აგვისტოს ზ. კ-ო დ. გ-თან ერთად იმყოფებოდა თელავში. ზ. კ-ოს ეცვა შავი ფერის ანაფორა და თან ჰქონდა გადაჭრილი, ორლულიანი სანადირო თოფი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა და რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. ისინი ყაჩაღურად თავს დაესხნენ თელავში, ... ქ. #-ში მცხოვრებ მ. ვ-ს. დაახლოებით 13 საათზე ორივენი დაუდგენელი ავტომატურად მივიდნენ მ. ვ-ის სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს შიგნით, რის შემდეგაც სახლში მყოფ მ. ვ-სა და მის დისშვილს - ფ. ვ-ს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, თანაქონი „სკოჩით“ შეუკრეს ხელ-ფეხი, დაუწყეს ცემა, ემუქრებოდნენ მოკვლით და სთხოვდნენ ფულს. რადგან დაზარალებულმა უთხრა, რომ ფული არ ჰქონდა, მათ მოძებნეს უთო, ჩართეს და შიშველ ტანზე მ. და ფ. ვ-ებს მიაყენეს დაზიანებები. ვინაიდან ბოროტმოქმედების დანაშაულებრივმა მოქმედებებმა შედეგი არ გამოიღო, დ. გ-მა და ზ. კ-ომ თვითონ მოძებნეს სახლში მ. ვ-ის კუთვნილი 163 ლარი და გაიტაცეს. შემდეგ ისინი ფეხით მივიდნენ სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც ტაქსით წავიდნენ ბაზრისკენ, აქედან, უკვე კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სხვა ტაქსით გაემგზავრნენ თბილისის მიმართულებით. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად სამართალდამცავებმა ზ. კ-ო და დ. გ-ი დააკავეს საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე, რა დროსაც ზ. კ-ოსაგან ამოიღეს ზემოაღნიშნული ცივი იარაღები, გადაჭრილულიანი სანადირო თოფი, 163 ლარი და სხვა ნივთები.

ყაჩაღური თავდასხმის დროს ზ. კ-ოსა და დ. გ-ის მიერ ცემის დროს მიღებული დაზიანებების შედეგად მ. ვ-ი რამდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. კ-ოს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 12 წელი, 1 თვე, 14 დღე და საბოლოოდ, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით, განესაზღვრა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დ. გ-ს - 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 1 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-მა და ითხოვა გამართლება, თუმცა საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მან შეცვალა საჩივრის მოთხოვნა, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული და იშუამდგომლა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: დ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით მიესაჯა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. კ-ოსათვის დანიშნულ სასჯელს - 30 წლით თავისუფლების აღკვეთას - დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 11 წელი, 7 თვე, 24 დღე და საბოლოოდ, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით, განესაზღვრა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. კ-ოს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 21 იანვრიდან, ხოლო დ. გ-ს - 2009 წლის 1 აგვისტოდან.

კასატორი - მსჯავრდებული დ. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ოჯახური მდგომარეობა; ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა; ჰყავს მოხუცი მშობლები და ავადმყოფი და; პირველად სამართალში; გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებულ განაჩენში არ არის მითითებული და არც საქმეში მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა ზ. კ-ოს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ

დამზადებას. ბრალდების ამ ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს.

რაც შეეხება დადგენილად მიჩნეულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებს, ისინი ობიექტურია და ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბრალად შერაცხულ ქმედებებს დ. გ-ი აღიარებს და ინანიებს, ხოლო ზ. კ-ოს მის მიმართ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებია.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, რადგან იგი შეესაბამება დ. გ-ის პროვინებას, ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს და ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და უსამართლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ზ. კ-ოს მიმართ ბრალდების ამ ნაწილში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი - უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა დაზუსტდეს ცალკეულ ნივთმტკიცებათა საკითხის ნაწილში, კერძოდ, ბ. მ-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული, იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ტყვიის გულა უნდა ინახებოდეს შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ტყვიამასროთეკაში, ხოლო წებოვანი ლენტის და ზეწარის ნახევები, რეზინის ხელთათმანი, თითის სამი კვალი და ზეწარი სისხლისმაგვარი ლაქებით - უნდა დაერთოს დაუდგენელი პირების მიმართ ცალკე წარმოებად გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის განაჩენიდან ამოირიცხოს სსსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ზ. კ-ოს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ. მ-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული, იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ტყვიის გულა ინახებოდეს შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ტყვიამასროთეკაში, ხოლო წებოვანი ლენტის და ზეწარის ნახევები, რეზინის ხელთათმანი, თითის სამი კვალი და ზეწარი სისხლისმაგვარი ლაქებით - დაერთოს დაუდგენელი პირების მიმართ ცალკე წარმოებად გამოყოფილ, # სისხლის სამართლის საქმეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ზ. კ-ოსათვის და დ. გ-ისათვის და-ნიშნული საბოლოო სასჯელები - დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. საპროცესო შეთანხმება

განჩინება

#523-აპ-10

29 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ჟიური მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ო. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 მარტის განაჩენით:

დაკმაყოფილდა თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ ც. ჭ-ს შუამდგომლობა.

დამტკიცდა პროკურორსა და განსასჯელ ჯ. ო. ა-ს შორის საპროცესო შეთანხმება.

ჯ. ო. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 6 თებერვლიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ჯ. ო. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

... რესპუბლიკის მოქალაქე ჯ. ო. ა-მ 2009 წლის აგვისტოში, სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ლეგალურად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და 2010 წლის 6 თებერვლამდე ცხოვრობდა საქართველოში. მან გადაწყვიტა რა, უკანონოდ გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და გამგზავრებულიყო ქალაქ ... , ... რესპუბლიკიდან გამოძიებით დაუდგენელ პიროვნებას გადმოაგზავნიდა ფ. ბ-ს სახელზე გაცემული ... რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი და ამავე პიროვნების სახელზე გაცემული ... მუდმივი ცხოვრების ნებართვა. აღნიშნულის შემდეგ მან შეიძინა თვითმფრინავის ბილეთი ... მიმართულებით და შეეცადა გამგზავრებას.

ჯ. ო. ა-ი 2010 წლის 6 თებერვალს მივიდა ... საერთაშორისო აეროპორტში, რა დროსაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ... და ... საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ (მესაზღვრე-კონტროლიორ) მ. გ-ს წარუდგინა ... რესპუბლიკის „...“ პასპორტი, ნომრით - ... , გაცემული ფ. ბ-ს „...“ სახელზე, ... ცხოვრების მოწმობა (...) ნომრით - ... , გაცემული ასევე ფ. ბ-ს სახელზე, ... თვითმფრინავის ჩასხდომის ბილეთი ნომრით რეისი - ... და ... თვითმფრინავის ელექტრონული ბილეთი. იმის გამო, რომ პასპორტში არ იყო აღნიშნული საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის თარიღ-დამდა და პასპორტზე გამოსახული პიროვნების სურათი აშკარად განსხვავდებოდა ჯ. ო. ა-საგან, მან კი კონტროლიორს უთხრა, რომ იგი იყო ფ. ბ-უ, ჯ. ო. ა-ი ეჭვმიტანილის სახით ადგილზევე იქნა დაკავებული.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ო. ა-მ. აპელანტი სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ ნაწილობრივ ცნობდა თავს დამნაშავედ, ითხოვდა საქმის კიდევ ერთხელ განხილვასა და დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ჯ. ო. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 679^ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

ა) საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;

ბ) ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;

გ) საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დამინებით;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ) უგულვებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ჯ. ო. ა-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრის თანახმად, დვის საგანს წარმოადგენდა განაჩენის სამართლიანობა - მსჯავრდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. ამდენად, სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სსკ-ის 679^ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მსჯავრდებულ ჯ. ო. ა-ს სააპელაციო საჩივარი. მსჯავრდებული ჯ. ო. ა-ი არც საკასაციო საჩივარში მიუთითებს საქართველოს სსკ-ის 679^ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებს, მოცემულ შემთხვევაშიც კასატორი ითხოვს დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განაჩენი

უნდა გაუქმდეს და ძალაში დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ჯ. ო. ა-ს მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განაჩენი.

ძალაში დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ჯ. ო. ა-ს მიმართ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

#687-აპ-10

18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- გ. შავლიაშვილი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ ზ. ქ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის განაჩენით გ. კ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. კ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 3 ოქტომბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: გ. კ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა, სულ - 30 აშშ დოლარი და 10900 ლარი, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხა, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

გ. კ-გან ამოღებული, მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „სეატ ტოლედო“, რომლის სახელმწიფო ნომერია „.....“, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და განსასჯელ ლ. რ-ს შორის.

ლ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 273-ე მუხლით ჯარიმა - 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე ლ. რ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 8 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ლ. რ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2000 ლარი, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა - 8000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ლ. რ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 3 ოქტომბრიდან.

განაჩენით გ. კ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებაში.

გ. კ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან, შემდგომში გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,2811 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ 34 აბი და აბის 3 ნატეხი, საიდანაც ნაწილი - 0,0571 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ 6 აბი და აბის 3 ნატეხი 2009 წლის 1 ოქტომბერს, სადამოს საათებში, თბილისში, შემდგომში 4500 ლარის გადახდის პირობით, უკანონოდ გაასაღა ლ. რ-ზე, რაც ამოღებულ იქნა ამ უკანასკნელის დაკავებისას.

2009 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად თბილისში, აღმაშენებლის ხეივანისა და რობაქიძის გამზირის გადაკვეთის ადგილზე, დააკავეს გ. კ-ი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც კანონსაწინააღმდეგო არაფერი ამოღებულა. აღნიშნულის შემდეგ, მისივე მითითებით, თბილისში, გლდანის ... მ/რაიონის ...-ე კორპუსის მე-... სადარბაზოს სხვენიდან ამოიღეს გ. კ-ის მიერ შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,224 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ 28 აბი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. კ-მა.

სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვამდე, 2010 წლის 20 მაისს, საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს საგამოძიებო, კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებში და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ზ. ქ-მ, აღნიშნული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანხმობით, შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და მსჯავრდებულ გ. კ-ის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, კერძოდ: პროკურორმა იშუამდგომლა გ. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. ასევე ითხოვა, რომ გ. კ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მანვე ითხოვა ნივთმტკიცების - ნარკოტიკული საშუალების, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში, განადგურება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო დანარჩენ ნაწილში - გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

მსჯავრდებული და მისი დამცველი სასამართლო სხდომაზე დაეთანხმნენ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულ გ. კ-ს შორის.

გ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ზ. ქ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორმა საჩივრით აღნიშნა, რომ რადგან გ. კ-მა არ შეასრულა საპროცესო შეთანხმების პირობები, რომლის თანახმადაც იგი იღებდა ვალდებულებას, ეთანამშრომლა გამოძიებასთან და ერთი თვის ვადაში მიეწოდებინა მონაცემები ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელ ათ პირზე, ითხოვა გ. კ-სთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება წინასწარ გამოძიებაში. საქართველოს სსკ-ის 162-ე მუხლის IV ნაწილის საფუძველზე პროკურორმა ასევე ითხოვა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას გ. კ-სათვის პატიმრობის ვადის 30 დღემდე გაგრძელება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის მაისის განაჩენი გ. კ-ის მიმართ გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს წინასწარ გამოძიებაში შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საპროცესო შეთანხმება დადებულია საქართველოს სსსკ-ის 679¹-679⁵ მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ: მხარეთა შორის შეთანხმება დადებულია ნებაყოფლობით, ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან სხვა რაიმე უკანონო დაპირების გარეშე, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება. იგი სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს და ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი და რომელსაც იგი აღიარებს. გ. კ-სთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალზე შეთანხმების შესახებ სასჯელის პირობით. აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მან მიაწოდა სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას. მსჯავრდებული გ. კ-ი ეთანხმება ბრალზე შეთანხმების თაობაზე სასჯელის პირობით საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს. შეთანხმების პირობები ასახულია საპროცესო შეთანხმებაში წერილობით, ასევე, შეთანხმების პირობები გამოკვლეული და დაზუსტებულია სასამართლო სხდომაზე.

2010 წლის 20 მაისს დადებული საპროცესო შეთანხმების თანახმად, გ. კ-მა აიღო ვალდებულება, რომ ითანამშრომლებდა გამოძიებასთან და ერთი თვის ვადაში მიაწოდებდა მონაცემებს ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელ ათ პირზე.

გ. კ-ს განემარტა, რომ იგი ვალდებული იყო, სრულად შეესრულებინა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები და რომ ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილი იქნებოდა, მიემართა სასამართლოსათვის განაჩენის გაუქმების თაობაზე, რასაც მსჯავრდებული დაეთანხმა.

პროკურორ ზ. ქ-ის საკასაციო საჩივრიდან ჩანს, რომ მსჯავრდებულმა გ. კ-მა არ შეასრულა საპროცესო შეთანხმების პირობები (რომლის შესრულების ვადა ამოიწურა 2010 წლის 20 ივნისს), არ ითანამშრომლა გამოძიებასთან და ერთი თვის ვადაში არ მიაწოდა მონაცემები ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელ ათ პირზე.

პალატა ეთანხმება პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ს 679⁶ მუხლის II, III ნაწილების თანახმად, აღნიშნული დარღვევა წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების საფუძველს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს წინასწარ გამოძიებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებისა და ხელმეორედ განხილვის დროს დაცული უნდა იყოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 679⁶-ე მუხლის II, III ნაწილებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ ზ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განაჩენი გ. კ-ის მიმართ და საქმე დაბრუნდეს წინასწარ გამოძიებაში.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#5¹-10

7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-სა და მისი დამცველის ადვოკატ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მარტის განაჩენით ა. კ-ე, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 6 თვის ვადით; იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ა. კ-ეს სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე, ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულ ა. კ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან 2008 წლის 26 ივლისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და

გამოარკვია:

საკასაციო პალატა სისხლის სამართლის საქმისა და საკასაციო საჩივრის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ა. კ-სა და მისი დამცველის ადვოკატ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც იგი არ უნდა იქნეს დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლო მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

პალატა აღნიშნავს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევებით, რაც ასევე არ დასტურდება საქმის შესწავლის შედეგად.

გარდა ამისა, საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განაჩენის დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის კრიტერიუმით.

მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ ინკრიმინირებული დანაშაული წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებას და ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც სამართლებრივი, ასევე, საპროცესო შეფასების თვალსაზრისით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს - მითითებული სამართლებრივი წინაპირობების გარეშე - წარმატების პერსპექტივა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. კ-სა და მისი დამცველის ადვოკატ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენზე არ იქნეს დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#117-აპ-10

2 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ძ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ჯ-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განაჩენით ნ. ძ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნ. ძ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

აღნიშნული განაჩენი მსჯავრდებულმა ნ. ძ-მა 2009 წლის 10 ნოემბერს გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო საჩივრით მან ასევე ითხოვა გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა.

საჩივარში მსჯავრდებული განმარტავდა, რომ განაჩენის გასაჩივრება დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ არ ჰყავდა ადვოკატი, არ ჰქონდა იურიდიული განათლება და ეგონა, რომ გასაჩივრების ვადა აითვლებოდა მისთვის განაჩენის ჩაბარების დღიდან; ამასთან, როდესაც მას ჩაჰბარდა განაჩენი, იყო შეუძლოდ და იმყოფებოდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ნ. ძ-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულ ნ. ძ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ჯ-მა აღნიშნული განჩინება გასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ნ. ძ-ის მიმართ დადგენილია 2009 წლის 25 სექტემბერს და იგი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ნ. ძ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ჯ-ის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტებს, რომ მსჯავრდებულს საჩივრის შეტანა დააგვიანდა იმის გამო, რომ განაჩენი ჩაჰბარდა 2009 წლის 23 ოქტომბერს და იმავე დღეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებას ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმზილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ძ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ჯ-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ნ. ძ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#14¹-10

15 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველის, ადვოკატ დ. გ-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 იანვრის განაჩენით დ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით.

2010 წლის 10 მარტს მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. თავის განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად დ. გ-მა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ განაჩენის ასლი ჩაჰბარდა დაგვიანებით, რის გამოც საკასაციო საჩივრის შედგენისა და დამოწმებისათვის მხოლოდ შვიდი სამუშაო დღე დარჩა. იმავე პერიოდში გარდაეცვალა დის ქმარი, რის გამოც მოუწია ქალაქიდან გასვლა, უკან დაბრუნებულს კი სავარაუდოდ გადატანილი ნერვიულობის შედეგად გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. გარდა ამისა, იგი მონაწილეობდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველს, ადვოკატ დ. გ-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-მა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში. როგორც საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, აღნიშნულ ვადაში არც ბრალდების მხარისა და არც დაცვის მხარის წარმომადგენელს საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-მა თავის განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მას განაჩენის ასლი ჩაჰბარდა დაგვიანებით, რის გამოც საკასაციო საჩივრის შედგენისა და დამოწმებისათვის დარჩა მხოლოდ შვიდი სამუშაო დღე. იმავე პერიოდში გარდაეცვალა დის ქმარი და მოუწია ქალაქიდან გასვლა, გადატანილი სტრესის შედეგად გახდა შეუძლოდ. გარდა ამისა, იგი მონაწილეობდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში, რის გამოც გაუშვა საკასაციო გასაჩივრების ვადა.

ადვოკატ დ. გ-ისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე მუხლიდან გამომდინარე, ცნობილი იყო, რომ საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. კასატორის მიერ კერძო საკასაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებს, რომელთა მიხედვით მან კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა გაუშვა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ განაჩენის ასლი მას ჩაჰბარდა დაგვიანებით.

ნებით, ხოლო ამ მომენტისათვის მას მოუწია ქალაქიდან გასვლა ახლო ნათესავის გარდაცვალების გამო, მომხდარმა ფაქტმა კი არსებითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე ამასთან, განაჩენის ჩაბარების დროისათვის ის უკვე მონაწილეობდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან დ. კ-ის სისხლის სამართლის საქმეში არსებული ცნობების შესაბამისად, მართალია, ადვოკატ დ. გ-ს სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010 წლის 27 იანვარს დ. კ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის ასლი გადაეცა 17 თებერვალს, მაგრამ მსჯავრდებულმა იგი ჩაიბარა 8 თებერვალს, რაც ადვოკატ დ. გ-ს აძლევდა იმის დროს და შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში გასცნობოდა და გამოეყენებინა იგი საკასაციო საჩივრის შესადგენად. ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ თუ დ. გ-ს შეუძლოდ ყოფნა ხელს არ უშლიდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაში, არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო მისთვის დამაბრკოლებელი გარემოება, რათა დროულად შეეტანა საკასაციო საჩივარი დ. კ-ის ბრალდების საქმეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვერ იქნება მიჩნეული საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონიერი საფუძველი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველს, ადვოკატ დ. გ-ს უარი ეთქვა მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველის, ადვოკატ დ. გ-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ დ. კ-ის დამცველს, ადვოკატ დ. გ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 იანვრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#11¹-10

5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ბ-ას კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე, რომლითაც ა. ნ-ის დამცველს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განაჩენით ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 344-ე

მუხლის I ნაწილით (სამი ეპიზოდი) - 3-3 (სამ-სამი) წლით, ხოლო 362-ე მუხლის I ნაწილით (სამი ეპიზოდი) - 6-6 (ექვს-ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე იმავე კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ა. ნ-ს სასჯელად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად კი ჯარიმა - 2000 ლარი.

2010 წლის 20 იანვარს მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-ამ საკასაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ბ" და "გ" პუნქტების შესაბამისად ითხოვა ცვლილების შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის განაჩენში.

2010 წლის 26 იანვრის მიმართვით მსჯავრდებულ ა. ნ-ის ადვოკატ ი. ბ-ას უკან დაუბრუნდა საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნის დარღვევით შეტანილი ვადაგასული საკასაციო საჩივარი და ასევე განემარტა აღნიშნული დარღვევის შესახებ.

2010 წლის 3 თებერვალს მსჯავრდებულ ა. ნ-ის ადვოკატმა ი. ბ-ამ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. შუამდგომლობაში იგი განმარტავდა, რომ მსჯავრდებულთან ხელშეკრულება გაფორმდა 2010 წლის 11 იანვარს, ამიტომ საკასაციო საჩივრის გამზადება ადრე ვერ მოახერხა. ამასთან, გასაჩივრების ერთთვიანი ვადა იწურებოდა 2010 წლის 16 იანვარს, შაბათს (დასვენების დღეს) ამდენად, შეუძლებელი გახდა საჩივრის შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ან მისი გაგზავნა ფოსტით, რის გამოც საკასაციო საჩივარი გაგზავნა 2010 წლის 18 იანვარს (ორშაბათს).

პალატამ განიხილა მსჯავრდებულ ა. ნ-ის ადვოკატის - ი. ბ-ას შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის II ნაწილის თანახმად ვადის დამთავრების დროში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები, ხოლო იმავე კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად, ვადა გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე გადაეცა ფოსტას, გადაეცა ან გამოეცხადა მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, გადაეცა წინასწარი პატიმრობის ადგილის ან სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ პირი დაპატიმრებულია ან იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში.

საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად კი - "საპატიო მიზეზით ვადის გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს".

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ნ-ის ადვოკატ ი. ბ-ას უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-ამ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ა. ნ-ის მიმართ დადგენილია 2009 წლის 16 დეკემბერს და იგი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ბ-ას მიერ შუამდგომლობაში მითითებულ არგუმენტებს, რომ მას საჩივრის შეტანა დაავიანდა გვიან გაფორმებული ხელშეკრულების გამო, ასევე იმ ფაქტს, რომ გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ბოლო დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, რის გამოც შეუძლებელი გახდა საჩივრის შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ან მისი გაგზავნა ფოსტით, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებებს ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომელთა გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პა-

ლატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ბ-ას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ა. ნ-ის ადვოკატ ი. ბ-ას უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#16¹-10

16 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. თ-ის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებაზე, რომლითაც თ. თ-ს უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განაჩენით თ. თ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. თ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

2010 წლის 25 თებერვალს მსჯავრდებულმა თ. თ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. საჩივარში მსჯავრდებული განმარტავდა, რომ განაჩენის გასაჩივრება დროულად ვერ შეძლო იმ მიზეზით, რომ არ ჰყავდა ადვოკატი, არ ჰქონდა იურიდიული განათლება და საკასაციო საჩივრის მომზადება ადრე ვერ მოახერხა. საკასაციო საჩივრით მან ასევე ითხოვა გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებით თ. თ-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა თ. თ-მა აღნიშნული განჩინება გასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კერძო საკასაციო საჩივრით მსჯავრდებულ ითხოვს გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი თ. თ-ის მიმართ დადგენილია 2010 წლის 8 იანვარს და იგი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია.

რაც შეეხება მსჯავრდებულ თ. თ-ის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტებს, რომ მსჯავრდებულს საჩივრის შეტანა დაავიანდა იმის გამო, რომ განაჩენი ჩაჰბარდა გვიან, არ ჰყავდა ადვოკატი, არ ჰქონდა იურიდიული განათლება და საკასაციო საჩივრის მომზადება ადრე ვერ მოახერხა, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებებს ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომელთა გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. თ-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ თ. თ-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

#24¹-10

3 ნოემბერი, 2010 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ს. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განჩინებაზე, რომლითაც მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მის დამცველს, ადვოკატ ს. კ-ს უარი ეთქვათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის განაჩენით ი. ჯ-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, მთლიანად დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის, 11 თვისა და 20 დღის ვადით, რის შედეგადაც მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 5 თვისა და 20 დღის ვადით. მსჯავრდებულ ი. ჯ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან - 2008 წლის 11 დეკემბრიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენით წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ი. ჯ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

2010 წლის 16 აგვისტოს მსჯავრდებულმა ი. ჯ-ამ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-ემ განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. თავის განცხადებაში მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად უთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რა მსჯავრდებულ ი. ჯ-ს სააპელაციო საჩივარი წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე, მსჯავრდებულს არ მიეცა შესაძლებლობა, პირადად დაეცვა თავისი ინტერესები და ამავდროულად შეეზღუდა უფლება, ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მის დამცველს უარი ეთქვათ საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა ი. ჯ-ამ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-მ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრით კასატორები ითხოვენ საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

შეისწავლა რა საქმის მასალები და საჩივრის მოტივები, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საკასაციო საჩივარი გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ ი. ჯ-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 2009 წლის 27 იანვარს და აღნიშნული განაჩენი კანონით დადგენილ ვადაში გაეგზავნა მსჯავრდებულს. თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს არ გაუსაჩივრებიათ, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 550-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

რაც შეეხება საჩივრის დასაბუთებულობასა და საფუძვლიანობას, კერძო საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებებით კასატორები ეჭვქვეშ აყენებენ რაიონული და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენთა კანონიერებას, მაშინ, როდესაც მათ, საქართველოს სსკ-ის 215-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ეკისრებათ საპატიო მიზეზით ვადის გაცდენის მტკიცების ტვირთი, ხოლო კასატორები თავიანთ მსჯელობაში ვერ უთითებენ ისეთ გარემოებაზე, რაც გახდებოდა გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის საფუძველი.

საქართველოს სსკ-ის 550-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობდა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ს. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მის დამცველს, ადვოკატ ს. კ-ს უარი ეთქვათ საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.